

შპს "BTM TEXTILE"

ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
აუდიტორის ანგარიშგებასთან ერთად

შინაარსი

აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური ანგარიშგება	
ბალანსი	6
მოგება-ზარალის ანგარიშგება	8
ანგარიშგება საკუთარი კაპიტალის ცვლილების შესახებ	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	12-29

**დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა
დამფუძნებლებსა და "BTM TEXTILE"-ს მენეჯმენტს**

ჩვენ მოვახდინეთ შპს "BTM TEXTILE"-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას, მითითებული თარიღისთვის დასრულებული წლისთვის მოგება ან ზარალის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას შპს "BTM TEXTILE"-ის 2017 წლის 31 დეკემბრისათვის, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე

ჩვენ მოვახდინეთ შპს "BTM TEXTILE"-ის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი, მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობისა და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დადასტურების შესახებ.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

აუდიტს წარვმართავდით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოების ვალდებულებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს "BTM TEXTILE"-სგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას.

ძირითადი საკითხი - კომპანიის შემოსავლის წყაროა, საერთაშორისო ხელშეკრულებით მიღებული დაკვეთები, რომელიც თავის მხრივ ექცევა ექსპორტის საბაჟო რეჟიმში. აღნიშნული

ოპერაციის მოცულობიდან გამომდინარე, აუდიტის პროცესში ჩვენი ყურადღების ობიექტად ვაქცევთ შემოსავლების აღიარების პროცესს.

როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში

- შევავსეთ შემოსავლის აღიარების შერჩეული და დანერგილი პოლიტიკა;
- შევამოწმეთ დადგენილი ფასწარმოქმნის პოლიტიკა;

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორული დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხვრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, რომელიც აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მივიღეთ, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პასუხისმგებლობა ზემოაღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებასა და ზუსტად წარმოდგენაზე ეკისრება მენეჯმენტს. ხსენებული პასუხისმგებლობა ითვალისწინებს: ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან და ზუსტად წარმოდგენასთან დაკავშირებით შიდა კონტროლის დაგეგმვას, განხორციელებასა და უზრუნველყოფას იმგვარად, რომ მათში არ იყოს მნიშვნელოვანი უზუსტობები თაღლითობისა და შეცდომის გამო, ამასთან სათანადო სააღრიცხვო მეთოდების შერჩევას და გამოყენებას და არსებულ პირობებში სათანადო ბუღალტრული შეფასებების წარმოდგენას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერვე განხორციელებული აუდიტის საფუძველზე გავაკეთოთ დასკვნა აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი განვახორციელეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით მოითხოვება, რომ დავიცვათ ეთიკური მოთხოვნები და გვემა, და აუდიტი ჩავატაროთ დასაბუთებული რწმუნების მოპოვების მიზნით იმის თაობაზე, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის რაიმე სახის არსებითი უზუსტობა.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული

მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.

- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.

- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკენით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

- ვიღებთ შესაბამის და სათანადო აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ბიზნეს საქმიანობის ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რათა გამოვთქვათ აზრი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.


მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორი არის მაია ფეიქრიშვილი.

მაია ფეიქრიშვილი

შპს "პრესტიჟ-აუდიტი"

2018 წლის 10 სექტემბერი

Chavchavadze st. 78/88, Batumi, Georgia
+995 0422 22 49 94
info@prestigeaudit.ge



ანგარიში ფინანსური მდგომარეობის შესახებ


	შენიშვნა	2017	2016	2015
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	4,074,419	4,513,952	5,066,212
გადავადებული მოგების გადასახადი			11,178	
არამატერიალური აქტივები		32,755	32,755	32,547
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,107,174	4,557,885	5,098,759
მიმდინარე აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან და სხვა მოთხოვნები	2	4,189,098	3,660,076	2,633,684
მარაგები	3	7,771,660	6,937,484	7,263,328
ზედმეტად გადახდილი გადასახადები		153,209	48,674	173,393
ფულადი სახსრები და მათი ექვი.	4	755,164	817,676	67,926
სულ მიმდინარე აქტივები		12,869,131	11,463,910	10,138,331
სულ აქტივები		16,976,306	16,021,795	15,237,090
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	7	15,000,000	15,000,000	15,000,000
გაუნაწილებელი მოგება		118,419	(864,552)	(1,441,821)
რეზერვები		50,856	186,905	186,905
საანგარიშო წლის მოგება/ზარალი	8	1,364,052	994,149	577,269
სულ კაპიტალი		16,533,327	15,316,502	14,322,353
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	287,957	557,196	782,984
გადასახდელი ხელფასი	5	155,023	148,099	131,754
სულ მიმდინარე ვალდებულებები		442,980	705,295	914,738

შპს "BTM TEXTILE"-ს ფინანსური
ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით (ლარებში)

სულ ვალდებულებები	442,980	705,295	914,738
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	16,976,306	16,021,795	15,237,090


დირექტორი
ქენან აღიბაშვი

10 სექტემბერი 2018წ


მთავარი ბუღალტერი
როენა შანთაძე

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

შენიშვნა	2017	2016
ამონაგები	11,196,113	11,044,768
პირდაპირი ხარჯები	(5,803,874)	(6,092,628)
მთლიანი მოგება	5,392,239	4,952,140
კომერციული ხარჯი	(3,429)	(5,620)
ადმინისტრაციული ხარჯი	(4,213,858)	(3,878,590)
ფინანსური შემოსავალი	957,406	485,953
ფინანსური ხარჯი	(544,841)	(252,558)
განსაკუთრებული შემოსავალები		
განსაკუთრებული ხარჯები	(223,465)	(131,738)
არასაოპერაციო მოგება/ზარალი		
საანგარიშო წლის მოგება	1,364,052	1,169,587
მოგების გადასახადი		-175438
საანგარიშო წლის წმინდა მოგება	8	994,149

დირექტორი

ქენან აღიბაში

10 სექტემბერი 2018წ.

მთავარი ბუღალტერი

როენა შანთაძე

ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ

შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება	რეზერვები და დაფინანსება	სულ
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15,000,000	(864,552)	186,905	14,322,352
2016 წლის მოგება		994,149		994,149
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15,000,000	129,597	186,905	15,316,502
2017 წლის მოგება		1,364,052		1,364,052
რეზერვები და დაფინანსება გაუნაწილებელი მოგების შემცირება		(11,178)	(136,049)	(136,049)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7 15,000,000	1,482,471	50,856	16,533,327

დირექტორი

ქენან აღირბაში

10 სექტემბერი 2018წ.

მთავარი ბუღალტერი

როენა შანთაძე

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი			
მიღებულია ავანსები			295,947
გადახდილი ავანსები			
მიღებულია დებიტორებისგან	10,997,864	11,458,601	
გაცემულია ანგარიშვალდებულ პირებზე	(1,119,088)	(217,026)	
მიღებულია ანგარიშვალდებული პირებიდან	845,992	11,807	
გაცემულია მომწოდებლებზე	(8,661,666)	(8,930,241)	
გადახდილი გადასახადები	(64,545)	(251,165)	
გადახდილია ხელფასები	(1,872,854)	(1,655,889)	
საოპერაციო ხარჯები	(6,103)	(7,444)	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		119,600	704,590
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
დაფარული მიღებული რეზერვი	(136,049)		
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული			
წმინდა ფულადი სახსრები	(136,049)		100,588
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
განსაკუთრებული ხარჯი	(400)		
არასაოპერაციო შემოსავალი	66		
მიღებული პროცენტი	8,975	100,588	
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	8,641		-
შემოსავალი საკუროსო სხვაობიდან		85,487	

შპს BTM TEXTILE ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

საკუროსო სხვაობის ხარჯი	(140,192)	(55,428)
სავალუტო კურისის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და მის ექვივალენტებზე	(54,705)	(55,428)
წმინდა(კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მის ექვივალენტებში	(62,513)	749,750
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წლის დასაწყისში	817,676	67,926
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	4 755,164	817,676

დირექტორი

ქენან აღირბაში

10 სექტემბერი 2018წ

მთავარი ბუღალტერი

როენა შანთაძე

ანგარიში ფინანსური მდგომარეობის შესახებ

	შენიშვნა	2017	2016	2015
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	4,074,419	4,513,952	5,066,212
გადავადებული მოგების გადასახადი			11,178	
არამატერიალური აქტივები		32,755	32,755	32,547
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,107,174	4,557,885	5,098,759
მიმდინარე აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან და სხვა მოთხოვნები	2	4,189,098	3,660,076	2,633,684
მარაგები	3	7,771,660	6,937,484	7,263,328
ზედმეტად გადახდილი გადასახადები		153,209	48,674	173,393
ფულადი სახსრები და მათი ექვი.	4	755,164	817,676	67,926
სულ მიმდინარე აქტივები		12,869,131	11,463,910	10,138,331
სულ აქტივები		16,976,306	16,021,795	15,237,090
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	7	15,000,000	15,000,000	15,000,000
გაუნაწილებელი მოგება		118,419	(864,552)	(1,441,821)
რეზერვები		50,856	186,905	186,905
საანგარიშო წლის მოგება/ზარალი	8	1,364,052	994,149	577,269
სულ კაპიტალი		16,533,327	15,316,502	14,322,353
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	287,957	557,196	782,984
გადასახდელი ხელფასი	5	155,023	148,099	131,754
სულ მიმდინარე ვალდებულებები				

შპს "BTM TEXTILE"-ს ფინანსური
 ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის
 მდგომარეობით (ლარებში)

	442,980	705,295	914,738
სულ ვალდებულებები	442,980	705,295	914,738
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	16,976,306	16,021,795	15,237,090

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ქენან აღირბაში

როენა შანთაძე

10 სექტემბერი 2018წ

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2017	2016
ამონაგები		11,196,113	11,044,768
პირდაპირი ხარჯები		(5,803,874)	(6,092,628)
მთლიანი მოგება		5,392,239	4,952,140
კომერციული ხარჯი		(3,429)	(5,620)
ადმინისტრაციული ხარჯი		(4,213,858)	(3,878,590)
ფინანსური შემოსავალი		957,406	485,953
ფინანსური ხარჯი		(544,841)	(252,558)
განსაკუთრებული შემოსავალები			
განსაკუთრებული ხარჯები		(223,465)	(131,738)
არასაოპერაციო მოგება/ზარალი			
საანგარიშო წლის მოგება		1,364,052	1,169,587
მოგების გადასახადი			-175438
საანგარიშო წლის წმინდა მოგება	8	1,364,052	994,149

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ქენან აღირბაში

როენა შანთაძე

10 სექტემბერი 2018წ.

ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ

	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება	რეზერვები და დაფინანსება	სულ
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		15,000,000	(864,552)	186,905	14,322,352
2016 წლის მოგება			994,149		994,149
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		15,000,000	129,597	186,905	15,316,502
2017 წლის მოგება			1,364,052		1,364,052
რეზერვები და დაფინანსება				(136,049)	(136,049)
გაუნაწილებელი მოგების შემცირება			(11,178)		
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7	15,000,000	1,482,471	50,856	16,533,327

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ქენან აღირბაში

როენა შანთაძე

10 სექტემბერი 2018წ.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი			
მიღებულია ავანსები			295,947
გადახდილი ავანსები			
მიღებულია დებიტორებისგან	10,997,864	11,458,601	
გაცემულია ანგარიშვალდებულ პირებზე	(1,119,088)	(217,026)	
მიღებულია ანგარიშვალდებული პირებიდან	845,992	11,807	
გაცემულია მომწოდებლებზე	(8,661,666)	(8,930,241)	
გადახდილი გადასახადები	(64,545)	(251,165)	
გადახდილია ხელფასები	(1,872,854)	(1,655,889)	
საოპერაციო ხარჯები	(6,103)	(7,444)	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		119,600	704,590
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
დაფარული მიღებული რეზერვი			
	(136,049)		
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(136,049)	100,588
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
განსაკუთრებული ხარჯი	(400)		
არასაოპერაციო შემოსავალი	66		
მიღებული პროცენტი	8,975	100,588	
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		8,641	-
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან			
	85,487		

საკუროსო სხვაობის ხარჯი	(140,192)	(55,428)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და მის ექვივალენტებზე	(54,705)	(55,428)
წმინდა(კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მის ექვივალენტებში	(62,513)	749,750
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წლის დასაწყისში	817,676	67,926
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	4 755,164	817,676

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ქენან აღირბაში

როენა შანთაძე

10 სექტემბერი 2018წ

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საერთო ინფორმაცია

შპს „BTM TEXTILE“ დაფუძნდა 2006 წელს.

კომპანიის იურიდიული მისამართია :

საქართველო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N342

ფაქტიური ადგილმდებარეობა:

საქართველო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი N342

ძირითად საქმიანობას წარმოადგენს

ტექსტილთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის საქმიანობა, კერძოდ ქსოვილისგან პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია; ქსოვილების, ტილოსა და ტექსტილისთვის საჭირო სხვა მასალის შეძენა, წარმოება და რეალიზაცია; სელის, ბამბის და პოლიესტერის ქსოვილებისგან წარმოებისთვის შესაბამისი საწარმოების მოწყობა; კომერციული საქმიანობა, იმპორტ-ექსპორტის ოპერაციები, საფირმო, კომერციული და საკომისიო ვაჭრობა, შესაბამისი ობიექტების შექმნა და მომსახურება .

მიწა, სადაც შპს BTM TEXTILE-ის ქარხანა მდებარეობს არის კომპანიის კერძო საკუთრება. კომპანიას არა აქვს ფილიალები და წარმომადგენლობები.

1. შპს „BTM TEXTILE“-ის ფუნქციონირების პირობები

საქმიანობის წარმოების ძირითადი პირობები საქართველოში

საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად იგი მოქცეულია საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრის სივრცეში, რომელიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს, კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე ზეგავლენის შესახებ. მომავალში ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

ფუნქციონირების სფერო

კომპანია ეწევა ტექსტილის პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციას.

საერთო მდგომარეობა

შპს "BTM TEXTILE"-ის ფინანსური ანგარიშგება შედგება ბალანსის, მოგება-ზარალის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებისაგან საანგარიშგებო პერიოდისათვის. საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდეგში - ფასს), რომელიც შედგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს), დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ, ასევე ინტერპრეტაციები, შემუშავებული ინტერპრეტაციების როგორც ძველი, ასევე ახალი კომიტეტების მიერ.

კომპანია ეწევა ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შედგენას საქართველოში მიღებული ეროვნული სტანდარტების შესაბამისად, რომელიც შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს. მოცემული ანგარიშგება სრულად შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, რომელთა გამოყენება ფართოვდება.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით და ისტორიული ღირებულებით. გადახრა ისტორიული ღირებულებიდან გახსნილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნების შესაბამის განაყოფში.

პრაქტიკაში ოპერაციის არსი და სხვა ვალდებულებები, ასევე მოვლენები ყოველთვის არ პასუხობენ იურიდიულ ფორმას. შპს "BTM TEXTILE"-მა ჩამოაყალიბა და აღრიცხვას აწარმოებს არა მხოლოდ მისი იურიდიული ფორმის შესაბამისად, არამედ მისი შინაარსის და ეკონომიკური არსის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის მიხედვით ხელმძღვანელობისგან საჭიროებს ანგარიშგებაში შეფასებებსა და წინადადებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების ასახვაზე და ინფორმაციის გახსნაზე პოტენციურ აქტივებსა და ვალდებულებებზე. შეფასების მონაცემები ეფუძნება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებულ მონაცემებს. ფაქტიური შედეგები განსხვავდება მიმდინარე შეფასებისაგან. ეს შეფასებები გადაიხედება პერიოდულად, აუცილებლობის შემთხვევაში კორექტირდება, ასეთი კორექტირებები აისახება ფინანსური შედეგების შემადგენლობაში იმ პერიოდში, როცა იქნა ცნობილი.

წარდგენის ვალუტა

აღრიცხვა იწარმოება ქართულ ლარებში. ეფუძნება ოპერაციისა და საქმიანობის ეკონომიკურ არსს. კომპანიამ განსაზღვრა ქართული ლარი შეფასების ვალუტად. სხვა ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები განიხილება უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებად. ქართული ლარი წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას საქართველოს ტერიტორიაზე.

შპს "BTM TEXTILE" -ის ფუნქციონირების პერსპექტივები უახლოეს მომავალში

უახლოეს მომავალში კომპანიაზე ნაკლებად მოახდენს გავლენას ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენები და ვალუტის კურსის რყევები, რადგან კომპანია ძირითადად მუშაობს ექსპორტზე, პრაქტიკულად შიდა ბაზარზე საქონლის მიწოდება ხდება მხოლოდ არაარსებითი საცალო გაყიდვების სახით. რის შედეგადაც არსებითად განსაზღვრულია, სამომავლო ოპერაციების და აქტივების განთავსების შესაძლებლობა, რათა უზრუნველყოს ვალდებულების დაფარვა მისი გადახდის ვადის დადგომისას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომავალში მისი ფუნქციონირების ასპექტიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამდენად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ასახული აქტივების რაიმე კორექტირებას, რომელიც აუცილებელი იქნებოდა თუ შპს "BTM TEXTILE" ვერ შეძლებდა გაეგრძელებინა თავისი ჩვეულებრივი საქმიანობა მომავალში.

2. ძირითადი აღრიცხვის პრინციპები

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება ფასდება შეძენაზე ფაქტიური დანახარჯებით, რომელშიც შედის ძირითადი საშუალებების შეძენის ღირებულება, შეძენაზე დაუბრუნებადი გადასახადები, ასევე პირდაპირი ხარჯები ადგილამდე მოწოდებასთან დაკავშირებით სამუშაო მდგომარეობაში მოყვანამდე.

შემდგომი დანახარჯები დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის ზრდასთან, რომელიც ზრდის სასარგებლო მომსახურების ვადას კაპიტალიზდება. ყველა სხვა დანახარჯი მიეკუთვნება იმ პერიოდის დანახარჯებს, როცა ის იქნა გაწეული.

სესხზე გადახდილი პროცენტები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების ობიექტებთან კაპიტალიზდება.

მოგება და ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან ჩაირთვება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მათი წარმოშობის მიხედვით.

პირველდაწყებითი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები აღირიცხება დარიცხული ცვეთის გამოკლებით.

კაპიტალურ ინვესტიციებში ჩაირთვება დანახარჯები მშენებლობაზე და ძირითადი საშუალებების რეკონსტრუქციაზე. კაპიტალური ინვესტიციები ფინანსური ანგარიშგების შედგენის მომენტში აისახება თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალებების ცვეთა

ძირითადი საშუალებების ობიექტებს ცვეთა ერიცხება ყოველთვიურად ექსპლუატაციაში შესვლის მეორე თვიდან, წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების მთელი პერიოდის განმავლობაში. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისათვის დადგენილია სასარგებლო ექსპლუატაციის ვადების შემდეგი მოსალოდნელი ვადები:

ძირითადი საშუალებების ჯგუფები	სასარგებლო მომსახურების ვადა, წლები
შენობები, ნაგებობები, გადამცემი მოწყობილობები	40-50
ავტოტრანსპორტი, მანქანები და მოწყობილობები	5-10
სხვა	5

მარაგები

მარაგების პირვანდელი ღირებულებაში შედის მის შემენასთან დაკავშირებული ყველა ხარჯები, მათი ადგილამდე მიტანის დანახარჯების ჩათვლით.

მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.

პირველადი აღიარების შემდეგ მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. რეალიზაციის წმინდა ღირებულება წარმოადგენს გაყიდვის ფასს ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის პროცესში, ხარჯების გამოკლებით.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებში შედის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები, სხვა ვალდებულებები და სესხები. მათი აღიარებისა და შეფასების სააღრიცხვო პოლიტიკა იხსნება შენიშვნების შესაბამის განაყოფში.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანია არ იყენებდა რაიმე ტიპის სვოპ და ფორვარდულ კონტრაქტებს, სავალუტო და საპროცენტო რისკების შემცირებისათვის.

დებიტორული დავალიანება

მიმდინარე დებიტორული დავალიანება ასახულია რეალიზაციის წმინდა ღირებულებაში, რომელიც განისაზღვრება დებიტორული დავალიანების პირველდაწყებითი თანხებიდან საექვო ვალების რეზერვის გამოქვითვით. საექვო ვალების რეზერვი განისაზღვრება დებიტორული დავალიანების პერიოდიზაციის მეთოდით. განისაზღვრება ვადაგადაცილებული საექვო დებიტორული დავალიანებების კოეფიციენტი.

ერთ წელზე მეტი ხნის დებიტორული დავალიანებები ბალანსში ჩაირთვება გრძელვადიანი მოთხოვნების შემადგენლობაში. ასეთი მოთხოვნები ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის აისახება ნარჩენი ღირებულებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები შედგება სალაროში არსებული ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისაგან. ფულად ეკვივალენტებში ჩაირთვება სამ თვემდე დაფარვის მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა გადაქცევა ფულად ფორმაში შეიძლება ადვილად და მათი ღირებულების შეცვლის რისკი მინიმალურია.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოდგენილია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში და შეესაბამება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს შესაბამისი წლის ბალანსში.

კაპიტალი

კაპიტალის შემადგენლობაში შედის საწესდებო კაპიტალი, მიზნობრივი დაფინანსება და გაუნაწილებელი მოგება.

დივიდენდი აისახება როგორც ვალდებულება და აკლდება საანგარიშო პერიოდის მოგებას მისი გამოცხადების შემდეგ.

კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანებები აისახება კომპენსაციის სამართლიანი ღირებულებით, რომელიც მიიღება მომავალში.

ერთ წელზე მეტი ხნის კრედიტორული დავალიანებები ბალანსში აისახება გრძელვადიანი დავალიანებების ნაწილში.

კრედიტები

კრედიტები აისახება აღიარების მომენტისათვის სამართლიანი ღირებულებით., რომელიც განისაზღვრება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. შემდგომში კრედიტები აისახება ნარჩენი ღირებულებით. სხვაობა მიღებულ სახსრებსა და გადახდილ კრედიტს შორის აისახება გადასახდელ პროცენტად კრედიტის მთელი პერიოდის განმავლობაში. კრედიტზე დარიცხული პროცენტები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის სახით.

12 თვეზე მეტი ხნის საკრედიტო ვალდებულებები ბალანსში აისახება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

ოპერაციები უცხოური ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აისახება ოპერაციის განხორციელების თარიღისათვის ვალუტის კურსის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად. ფულადი აქტივები და ვალდებულებები ნომინირებული უცხოურ ვალუტაში გადაიანგარიშება ლარებში გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც დადგენილია ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. ფინანსური შედეგი საკურსო სხვაობიდან აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალის

ანგარიშგებაში, როცა წარმოიქმნა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლის
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენდა: 1 აშშ დოლარი უდრიდა 2,5922
ლარს, 1 ევრო – 3.1044 ლარს, 1 თურქული ლირა - 0,6874 ლარს

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ერიცხება გასული წლის ფინანსური შედეგიდან
გამომდინარე.

მიმდინარე მოგების გადასახადი ერიცხება საქართველოს საგადასახადო კოდექსის
მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომლის საგადასახადო ბაზას წარმოადგენს
ფინანსური შედეგი, აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში,
კორექტირებული საგადასახადო კანონმდებლობის მიზნით.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მაშინ, როცა არსებობს ეკონომიკური სარგებლის მიღების
საიმედოობა, რომელიც მომავალში მიიღება. შემოსავლები აღიარდება დარიცხვის
მეთოდით, როდესაც ხდება საქონლის გადატვირთვა.

შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როცა გადაეცემა არსებითი რისკები და
სარგებელი, რომელიც დაკავშირებულია ამ აქტივთან.

ხარჯები

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება აისახება შესატყვისი
შემოსავლის მიღების შესაბამისად.

სხვა გასავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდით.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღსა და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღს
შორის პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები, რომლებიც შეიცავენ
დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ აისახება
ფინანსურ ანგარიშგებაში, ხოლო რომელიც არ ახდენს გავლენას ფინანსურ
ანგარიშგებზე აისახება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, თუ ასეთი
არსებობს საერთოდ.

ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად სავალდებულოა
შემდეგი: ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტების გამოყენება 2017
წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისათვის.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის
ძალაში შესული შპს "BTM TEXTILE"-ს არ გამოუყენებია.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და

ინტერპრეტაციები შპს "BTM TEXTILE"-ის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. შპს "BTM TEXTILE"-მა შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

- ცვლილებები ბასს 7-ში სახელწოდების Disclosure Initiative (გამოშვებული 2016 წლის იანვარში). ცვლილებების სტანდარტში, ეხება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და მომდევნო პერიოდებს, რომელიც მოითხოვს კომპანიების მიერ ინფორმაციის გამჟღავნებას ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის, იმ ვალდებულებების შესახებ, რომლებიც წარმოიშვა კომპანიაში ფინანსური აქტივობებიდან. ზემოთ აღნიშნულს არ ექნება მატერიალური გავლენა შპს "BTM TEXTILE"-ის ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ცვლილება ბასს 12 გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის არარეალიზებული ზარალისთვის (გამოშვებული 2016 წლის იანვარში). ცვლილებები ეხება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს, რომელიც განმარტავს, რომ გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი - დაკავშირებული სავალო ვალდებულებებით გამოწვეულ არარეალიზებულ ზარალთან უნდა აღირიცხოს სამართლიანი ღირებულებით, პრაქტიკაში განსხვავების დასაფიქსირებლად. სავარაუდოა, რომ ზემოთ აღნიშნულს არ ექნება გავლენა შპს "BTM TEXTILE"-ის ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოიცა 2014 წლის ივლისში) - ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39-ს (და ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის 1 იანვარს დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს. იგი შეიცავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასებისთვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვის და აღიარების შეწყვეტისათვის.

ფასს 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი შეფასდეს ამორტიზირებული ან სამართლიანი ღირებულებით (მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან სხვა სრულ შემოსავალში) იმის მიხედვით, თუ რომელ ბიზნეს მოდელში ექცევა ისინი და როგორია მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსური ვალდებულებებისთვის, ფასს 9-ის ყველა მნიშვნელოვანი გავლენა დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, როდესაც შერჩეულია სამართლიანი ღირებულების მეთოდი: სამართლიანი ღირებულებით მოგება/ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულების სამართლიანი

ღირებულების ცვლილება, რომელიც უკავშირდებოდა აღნიშნული ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში), გარდა იმ შემთხვევისა თუ აღნიშნული იწვევს სააღრიცხვო შეუსაბამობას.

ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 უზრუნველყოფს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ მოდელს, რომელიც დამყარებულია მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების ცნებაზე ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე; საკრედიტო ზარალის აღიარებამდე აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობის საჭიროება.

ჰეჯირების აღრიცხვისთვის, ფასს 9 შეიცავს არსებით შესწორებებს, რომელთა თანახმად ფინანსურ ანგარიშგებებში უკეთ აისახება რისკის მართვის საქმიანობები, როდესაც ხდება ფინანსური და არაფინანსური რისკის ჰეჯირება.

აღიარების შეწყვეტის დებულებები თითქმის უცვლელად არის გადმოტანილი ბასს 39-დან.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ფასს 9 გამოყენებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ახალი სტანდარტის გამოყენებას სავარაუდოდ გავლენა ექნება ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით აღრიცხულ მონაცემებზე. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

- ფასს 15 „შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ (გამოიცა 2014 წლის მაისში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 11, ბასს 18 და მათ ინტერპრეტაციებს (იმკ 31 და ფაისკ 13, 15 და 18). იგი აწესებს შემოსავლების აღიარების ერთიან და ამომწურავ სისტემას, რომელიც მუდმივად იქნება გამოყენებული სხვადასხვა ტრანზაქციებთან, ინდუსტრიებთან და საფონდო ბაზრებთან მიმართებაში ძირითადი პრინციპით (ხუთი ეტაპის მოდელზე დაყრდნობით, რომელიც იმოქმედებს მომხმარებლებთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაზე), გაუმჯობესებული განმარტებებით, და ახალი ან გაუმჯობესებული ინსტრუქციებით (მაგ. როდის ხდება შემოსავლის აღიარება ცვალებადი

ანაზღაურების აღრიცხვა, ხელშეკრულების შესრულების და მიღების ხარჯები და სხვ.). აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს 17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალდირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდები უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება დირექტორების აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

შპს “BTM TEXTILE”-ის ძირითადი მომწოდებელი და შემკვეთია სს ATK ტექსტილი - სავაჭრო-სამრეწველო კომპანია. მომწოდებელი აწვდის შპს “BTM TEXTILE”-ს საქონელს შემდგომი გადამუშავების მიზნით. გამყვინდელისაგან საქონლის მიღების შემდეგ მყიდველი ამოწმებს მისი დასახელების, რაოდენობის და ხარისხის შესაბამისობას წარმოდგენილ დოკუმენტებთან შესაბამისობაში, რის შედეგადაც ღდება მიღება-ჩაბარების აქტი.

1. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთ მშენებლობა	შენობა ნაგებობა	მანქანა დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
ისტორიული ღირებულება								
31 დეკემბერი 2015	113 555	251 677	5 605 068	3 707 810	1 482 519	580 868	172 284	11 913 780
მიღება				50 406	10 561		24 343	85 310
საკუთარი ძალით შექმნილი		1 544	253 220					254 764
გასვლა				(90 789)	(32 452)	(36 055)		(159 296)
შიდა მოძრაობა		(253 220)						(253 220)
31 დეკემბერი 2016	113 555	-	5 858 288	3 667 427	1 460 628	544 813	196 627	11 841 338
მიღება				154 150	30 591	23 179		207 920
საკუთარი ძალით შექმნილი								-
გასვლა				(243 676)	(1 202)	(226 805)		(471 683)
შიდა მოძრაობა								-
კაპიტალიზაცია	-			-			-	-
31 დეკემბერი 2017	113 555	-	5 858 288	3 577 902	1 490 017	341 187	196 627	11 577 576
აკუმულირებული ცვეთა								
31 დეკემბერი 2015	-		(1 905 957)	(3 481 684)	(1 276 845)	(137 591)	(45 491)	(6 847 569)
ცვეთა	-		(291 859)	(13 091)	(61 957)	(82 393)	(30 518)	(479 818)
31 დეკემბერი 2016	-	-	(2 197 816)	(3 494 776)	(1 338 802)	(219 984)	(76 009)	(7 327 386)
ცვეთა	-		(292 914)	170 501	(33 965)	13 287	(32 679)	(175 771)
31 დეკემბერი 2017	-	-	(2 490 730)	(3 324 275)	(1 372 767)	(206 697)	(108 688)	(7 503 158)
ნარჩენი ღირებულება								
31 დეკემბერი 2016		113,555	-	3,660,472	172,651	121,826	324,830	4,513,951
31 დეკემბერი 2017		113,555	-	3,367,558	253,626	117,250	134,490	4,074,418

2. საბალანსო აქტივები

მოთხოვნები 2017 წლის 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2017	2016
მოთხოვნები	4189098	3660077
მოთხოვნები მიწოდებიდან		
და მომსახურებიდან	1555552	1240031
საექვო მოთხოვნები		579
მოთხოვნები საწარმოს		
პერსონალის მიმართ	25298	19605
დაზღვევის ავანსი	46956	29850
გაცემული სესხი	1 389 290	1384298
მისაღები პროცენტები	810818	624530
მოთხოვნა კაპიტალის		
შევსებაზე	361184	361184

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს “BTM TEXTILE”-ის მიერ შპს „MOOD“-ზე გაცემულ გრძელვადიან სესხზე ნაშთი შეადგენს 1 389 290 ლარს, ხოლო მისაღებ პროცენტზე ნაშთი - 810818 ლარს.

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოიცავს - TURKMEN GROUP MERSIN – 338 193 ლარს და ATK TEKSTIL (გაყიდვები) –1 031 841 ლარს.

კაპიტალის შევსებაზე პარტნიორის მოთხოვნაში ასახულია ალი მურათ თურქმენის მიმართ მოთხოვნა - 291 481 ლარი და ზაფერ ვერალის - 69704 ლარი, რომელიც ექვემდებარე შევსებას.

ყველა არსებითი დებიტორული მოთხოვნა მიმდინარეა. მათზე არ არის შექმნილი საექვო ვალების რეზერვი.

3. მარაგები

შპს “BTM TEXTILE” ხელშეკრულებით იღებს ნედლეულს საბაჟო იმპორტის რეჟიმში, რომელსაც დამუშავების შემდეგ ემატება შეკერვის ღირებულება და ექსპორტის რეჟიმში ხდება საქართველოდან მიწოდება თურქეთის რესპუბლიკაში რეგისტრირებულ დამფუძნებელ კომპანია ATK-ზე;

949 725 ლარის მარაგი განთავსებულია წარმოებაში, რომელიც შეკერვის შემდეგ სრულად გავა ექსპორტზე. 3 110 758 ლარის მარაგი მოთავსებულია მზა ტანსაცმლის და საყოფაცხოვრებო ტექსტილის სახით ბრენდის მაღაზიის ქსელში. კომპანია არ ახდენს მარაგების თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირეს ფასამდე ჩამოფასებას.

	31.12.2017	31.12.2016
მარაგები	7771660	6937484
ნედლეული და მასალები	4581129	3591133
საქონელი	3186109	3342864
მზა პროდუქცია		1902
სხვა საქონელი	4422	1588

4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2017	2016
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები	755163	817676
ნაღდი ფული სალაროში	9943	9997
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2570	5867
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	209	5412
დეპოზიტი უცხოურ ვალუტაში	740073	794040
დეპოზიტი ეროვნულ ვალუტაში	2368	2360

სს „იმ ბანკი“-ს დოლარის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებულია 285 500 აშშ დოლარი.

ბალანსში ასახული ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები 2016 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეესაბამება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ასახული ფულადი სახსრების ნაშთებს.

5. კრედიტორული დავალიანება

	2017	2016
კრედიტორული დავალიანება	287956	557196
მიწოდებიდან და მომსახ. წარ. ვალდებულებები	269535	477009
მაღაზიის მომწოდებლების მიმართ ვალდებულებები	15797	80169
სხვა	2624	18

კრედიტორული დავალიანების აღრიცხვისათვის კრედიტორები დაჯგუფებულია წარმოების მომწოდებლებისა და მაღაზიის მომწოდებლების სახით. წარმოების მსხვილი მომწოდებლებია TURKMEN GROUP IT HALAT DIS TICARET A.S,

TURKMEN GROUP IT H ALAT DIS TICARET A.S ; TRIKO MISIRLI SAN TIC A.S.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გადასახდელი ხელფასის ვალდებულების სახით ერიცხება 155 023 ლარი.

6. გრძელვადიანი კრედიტი

საზოგადოებას ბალანსის შედგენის თარიღისათვის გრძელვადიანი საბანკო ვალდებულებები არ ერიცხება

7. კაპიტალი

შპს “BTM TEXTILE”-ის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) ლარს. საწესდებო კაპიტალის ნაწილში ასახულია მიზნობრივი დაფინანსება, რომელიც ხორციელდება დამფუძნებლის მიერ ინვესტიციის სახით. ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მესაკუთრეზე გადასახდელი დივიდენდი გამოცხადებული არ იყო.

საწესდებო კაპიტალი განისაზღვრულია 15 000 000 ლარის ოდენობით. წილები გადანაწილდა შემდეგი პროცენტულობით:

- 1) სს ATK ტექსტილი-სავაჭრო სამრეწველო კომპანია – 100% – 15 000 000 ლარი;

შპს „BTM-TEXTILE“-ს მიერ 2016 წლის 21 იანვარს სამეწარმეო რეესტრში წარდგენილი NB16007418 გაცნხადებით მოთხოვნილი იქნა შპს „BTM-TEXTILE“-ის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია, კერძოდ, პარტნიორების ალი მურათ თურქმენისა და ზაფერ ვერალის საკუთრებაში არსებული წილების ოდენობის ს.ს. ATK-TEKSTIL SANAYI VE TECARET-ისათვის საკუთრებაში გადაცემის გზით შემცირება და შემდგომ მათი სრულად ს.ს. ATK-TEKSTIL SANAYI VE TECARET-ისათვის საკუთრებაში გადაცემა. აღნიშნული პარტნიორთა კრების ოქმის რეგისტრაციისას სამეწარმეო რეესტრის მხრიდან ვერ მოხდა ალი მურათ თურქმენის წილის მიყიდვის რეგისტრაცია ATK-TEKSTIL SANAYI VE TECARET-ზე, ხარვეზის დადგენის გამო. დღეის მდგომარეობით, რეესტრის მონაცემებში არსებული ჩანაწერებით, ალი მურათ თურქმენი და ზაფერ ვერალი კვლავ ფლობენ BTM-ის წილს 6,7% და 1,3%; თუმცა 2016 წლის 21 იანვარს შედგენილი პარტნიორთა კრების ოქმი N:20-ის შესაბამისად BTM-ის 100% წილს ფლობს სს ATK-TEKSTIL SANAYI VE TECARET-ი; შესაბამისად, საჭიროა რეესტრის ამონაწერის განახლება.

8. ამონაგები და ხარჯები

შპს "BTM TEXTILE" შემოსავლების დარიცხვას ახდენს დარიცხვის მეთოდით ბასს სტანდარტების შესაბამისად. რეგისტრირებულია გადამხდელად და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 245567881.

შემოსავლის ძირითადი წყაროა ტექსტილის პროდუქციის წარმოება-ექსპორტი

8.1. ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	2016
ადმინისტრაციული ხარჯები	4213858	3878590
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	2703494	2365144
ცვეთა	515729	611359
საგადასახადო ხარჯი	174022	159323
სხვა ხარჯები	801327	725782
საკონსულტაციო ხარჯი	19286	16982
სხვა მომსახურების ხარჯები		

8.2. კომერციული ხარჯები

	2017	2016
კომერციული ხარჯები	3429	5620
რეკლამის ხარჯი	3429	5620

8.3. სხვა ფინანსური ხარჯები

	2017	2016
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	544841	252558
კურსთა შორის სხვაობა	235194	247801
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში		
ჩამოწერა		
არასაოპერაციო ზარალი	309647	4757

8.4. პერსონალის შენახვის ხარჯები

	2017	2016
პერსონალის ხარჯები		
ხელფასები	2490067	2219595
ბონუსები	20011	5411
თანშრომელთა		
ჯანმრთელობის დაზღვევა	0	0

სხვა	193416	140138
სულ პერსონალის ხარჯები	2703494	2365144

ხელმძღვანელობის ანაზღაურება

	2017	2016
ხელფასი	323610	284100
ბონუსები	20011	5411
სულ :	343621	289511

გარიგებები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები, რომელიც ჩართულია თანამშრომელთა ხელფასებში, მოცემულია ქვემოთ

	2017	2016
ხელფასები და ბონუსები	225541	214111
სულ:	225541	214111

დაკავშირებული მხარეები

მშობელი საწარმო და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის პირდაპირი და საბოლოო მშობელი საწარმოა ATK TEKSTILE.

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ფიზიკური პირი ალი მურათ თურქმენი.

კომპანიის მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არ გამოსცემენ საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას.

9. ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

საქართველოში დამკვიდრებულია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების შედგენა პირდაპირი მეთოდით. შპს “BTM TEXTILE” ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ადგენს პირდაპირი მეთოდით. ანგარიშგებაში დაკორექტირებულია ყველა მუხლი.

10. ფაქტიური და პოტენციური ფინანსური ვალდებულებები

საგადასახადო სისტემა

საქართველოში მოქმედებს საგადასახადო კოდექსი, რომელიც ადგენს სამართლებრივ მექანიზმებს გადასახდების დარიცხვასა და გადახდასთან. ძირითადი გადასახადები, რომლებიც ამოიღება საქართველოში არის მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირებიდან, დღგ, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი და სხვა გადასახადები.

საგადასახადო დეკლარაციის შედგენის სისწორე მოწმდება საქართველოს სხვადასხვა სახის მაკონტროლებელი ორგანოების მიერ.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის საქმიანობა ხორციელდება კანონთან სრულ შესაბამისობაში. იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს შედარებით გაურკვევლობა ამა თუ იმ გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით, დარიცხვები ხორციელდება ხელმძღვანელობის მიერ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

იურიდიული ვალდებულებები

შპს “BTM TEXTILE”-ს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში აქვს საგადასახადო დავა შემოსავლების სამსახურის დავების საბჭოს სისტემაში. საკითხი ეხება კონტროლირებული ოპერაციების - ტრანსფერფრაიზინგის, დაბეგვრის საკითხს, კერძოდ: ხელმძღვანელობის შეფასებით დავის უარყოფითად დასრულება გავლენას არ მოახდენს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

დაზღვევა

კომპანიას საერთო პასუხისმგებლობა და ბიზნეს პროცესების რისკები დაზღვეული აქვს სს სადაზღვევო კომპანია „ალდაგ“-ში.

11. ფინანსური რისკების ფაქტორი

სავალუტო რისკი

შპს “BTM TEXTILE”-ის ოპერაციების უმეტესი ნაწილი ხორციელდება უცხოურ ვალუტაში, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები ძირითადად დოლარზე ხორციელდება. ხელშეკრულებით წარმოებული პროდუქცია მთლიანად უცხოეთში გაიტანება და შესაბამისად თანხაც დოლარში მიიღება. ხოლო, რაც შეეხება ნედლეულის მიღება უცხოეთიდან ხორციელდება და ანაზღაურებაც დოლარში ხდება. ასეთი სიტუაცია იწვევს საკუროსო სხვაობის ცვლილებით გამოწვეული რისკების არსებობას. დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებზე წარმოიქმნება საკუროსო სხვაობები.

	2017	2016
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები (ნაღდი ფულის ჩათვლით)	755 164	817 676
სავაჭრო მოთხოვნები	3 017 095	2 674 361
მოზიდული სახსრები		
კრედიტორული დავალიანებები	287 957	557 196
	4 060 216	4 049 233

საპროცენტო რისკი

კომპანიას საბანკო კრედიტი არ ერიცხება

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის სავალუტო რისკზე, მოცემულია ცხრილში, გამოსახულია ლარებში:

2017 წელი	GEL	USD	EUR	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	14 882	285 545	30	755 164
სავაჭრო მოთხოვნები	1 542 650	568 801		3 017 095
სულ ფინანსური აქტივები	1 557 532	854 346	30	3 772 259

ფინანსური ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანებები	172 898	44 387		287 957
სულ ფინანსური ვალდებულებები	172 898	44 387		287 957

2016	GEL	USD	EUR	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	18 226	302 043	1	817 676
სავაჭრო მოთხოვნები	1 487 918	448 256		

				2674361
სულ ფინანსური აქტივები	1 506 144	750 299	1	3 492 037
ფინანსური ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანებები	437 513	45 218		557 196
სულ ფინანსური ვალდებულებები	437 513	45 218	-	557 196

საკრედიტო რისკი

საანგარიშო წელს კომპანიამ გააკეთა დებიტორული დავალიანებების საკრედიტო რისკების შესწავლა. რაც გამოიხატება იმაში, რომ არ შექმნილა საეჭვო ვალების რეზერვი. ვინაიდან კომპანიას არ ერიცხება ვადაგადაცილებული მოთხოვნები.

სასაქონლო რისკი

კომპანიის შემოსავლის მთავარი წყაროა შეკვეთები უცხოეთიდან (საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად) და მკვეთრად გამოიხატება ქალის ტექსტილის ნაწარმის კერვაში, რომელიც მზადდება ხელშეკრულებების შესაბამისად. ამდენად, ამ სფეროში კომპანიის რისკები მინიმალურია.

ლიკვიდურობის რისკი

კომპანიის ამოცანაა შეინარჩუნოს ბალანსის უწყვეტი დაფინანსებისა და კრედიტის პირობების გამოყენების მოქნილობა, რომელიც წარდგება მომწოდებლებსა და საკრედიტო დაწესებულებებთან. შპს “BTM TEXTILE” ახდენს დავალიანებების ვადიანობის ანალიზს და გეგმავს მის ლიკვიდურობას შესასრულებელი ვალდებულებების ვადების შესაბამისად. არასაკმარისი ლიკვიდურობის პირობებში მოიზიდავს დამატებითი დაფინანსების წყაროებს.

12. ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები

შპს “BTM TEXTILE”-ის ბალანსის შედგენის შემდეგ რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა არ მომხდარა.

BTMTXTILE LTD

I/D 245567881

T: +422258220

Email: admin@btmtextile.com

Fridon khavtashi av. 342

Batumi-georgia



შპს ბტმ ტექსტილე

ს/კ: 245567881

ტელ: +422258220

@: admin@btmtextile.com

ფრიდონ ხალვაშის გამზირი 342

საქართველო-ბათუმი

20 სექტემბერი 2018

**შპს „BTM TEXTILE“-ს მმართველობითი
ანგარიშგება
საქმიანობის მიმოხილვა
2017**

სარჩევი:

I. ბიზნესის აღწერა -----3

კომპანია, მმართველები და მფლობელები

საწარმოს ადგილმდებარეობა

საქმიანობის სფეროები

გამოცდილება საქმიანობის ძირითად სფეროში

II. წარმოება და ლოგისტიკა -----4

წარმოებული პროდუქცია

ხარისხის საერთაშორისო სტანდარტი და ხარისხის კონტროლი

III. ბიზნეს პროექტების მოკლე მიმოხილვა -----5

მიზნები და ამოცანები

წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები

IV. ადგილობრივი ადმინისტრაციული მართვა -----6

კომპანიის მენეჯმენტი

ორგანიზაციული სტრუქტურა და საკადრო გეგმა

V. მარკეტინგი და გაყიდვები -----7

გაყიდვების მართვა

კორპორატიული და ბრენდის რეპუტაციის დაცვა

VI. ფასი და თვითღირებულება -----8

ფასის და თვითღირებულების განმსაზღვრელი ფაქტორები

VII. ძირითადი და საბრუნავი საშუალებები -----8

ძირითადი საშუალებები

ნედლეულის აღწერა

მარაგების მართვა

VIII. ბიზნესის პერსპექტივის ანალიზი -----9

რისკების ანალიზი

1. ბიზნესის აღწერა

შპს „BTM TEXTILE“- ს/ნ 245567881 დაფუძნდა 27/07/2006 წელს.

იურიდიული მისამართი:

საქართველო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი 342.

კომპანიის საქმიანობის სფეროებია

1. სამკერვალო-საფეიქრო წარმოება
2. საცალო ვაჭრობა

მმართველები და მფლობელები

კომპანიის დასახელება: შპს „BTM TEXTILE“

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 245567881

რეგისტრაციის თარიღი: 27/07/2006;

მარეგისტრირებელი ორგანო: საგადასახადო ინსპექცია

იურიდიული მისამართი: ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი 342

ვებ. გვერდის მისამართი: www.btmtextile.com;

ელ. ფოსტა: admin@btmtextile.com

ტელ. ნომერი: 0422258220;

დირექტორები:

1. ქენან აღირბაში , თურქეთის მოქალაქე პ/ნ: 61091000698
2. ალი მურათ თურქმენ, თურქეთი/საქართველო მოქალაქე; პ/ნ: 61706081968

3. ზაფერ ვერალ თურქეთი/საქართველო მოქალაქე; პ/ნ: 61106081915

მესაკუთრეები

100 % წილი სს „ATK-TEKSTIL SANAYI VE TECARET“;

რეგისტრაციის ქვეყანა: თურქეთი,

ს/ნ: 1020232221 471628-41921

გამოცდილება სფეროში

შპს „BTM TEXTILE“-ს 2006 წლიდან წარმატებით მოღვაწეობს ტექსტილის სფეროში/სექტორში, რომელიც ამზადებს ქალის და ბავშვის ტანსაცმლის დიზაინს საცალო ტექსტილის სფეროში არსებული გარკვეული მსხვილი ბრენდებისათვის და ასევე ახორციელებს წარმოებას მითითებული დიზაინით მიღებული შეკვეთების შესაბამისად და უზრუნველყოფს დასრულებული პროდუქციის ექსპორტზე გატანას საერთაშორისო ბაზარზე.

შპს „BTM TEXTILE“ თავის მხრივ ერთ-ერთი მსხვილი ინვესტორია აჭარის რეგიონში, ის აჭარაში განხორციელებული მსხვილი ინვესტიციიდან ერთ-ერთი პირველი იყო ტექსტილის სეგმენტზე, რომლის წარმატებული საქმიანობის შედეგადაც გზა გაეხსნა შემდგომ შემოსულ ინვესტორებს, არის ერთ-ერთი მსხვილი დამსაქმებელი.

2. წარმოება და ლოგისტიკა

წარმოებული პროდუქცია

ფირმის ძირითადი საქმიანობის სახეს წარმოადგენს ტანსაცმლის კერვა, შეკერილი პროდუქცია გააქვს ექსპორტზე, „წარმოებულია საქართველოში“ ეტიკეტით. 2007 წლიდან დღემდე ფირმას შესრულებული აქვს სხვადასხვა ცნობილი ბრენდების შეკვეთები, წარმოებული პროდუქციის სახეებია: ქალის შარვალი, კაბა, ქვედაბოლო, ბლუზა და ა.შ;

ხარისხის საერთაშორისო სტანდარტი და ხარისხის კონტროლი

შპს „BTM TEXTIL“-ის წარმოების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხარისხის კონტროლს, საერთაშორისო ხარისხის სტანდარტების მოთხოვნები ვრცელდება, როგორც წარმოებულ პროდუქციაზე, ასევე ხარისხის კონტროლს გადის თავად საწარმოც, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დაკვეთა რომელიც BTM-ში მოდის წინასწარ უთანხმდება ძირითად დამკვეთ კომპანიას, დამკვეთი კომპანია კი წელიწადში რამოდენიმეჯერ ახდენს ინსპექტირებას საერთაშორისო ხარისხთან შესაბამისობის გადამოწმების, სხვადასხვა დროს ინსპექტირების შედეგად საწარმოს მიღებული აქვს სერტიფიკატები, მათ შორის ერთ ერთი არის სერტიფიკატი Eco-factory Standard (მწვანე ფაბრიკა); ასევე SEDEX და BSCI სტანდარტის სერტიფიკატები და ეს სერტიფიკატები ყოველ წელს განახლებადია;

3. ბიზნეს პროექტების მოკლე მიმოხილვა

მიზნები და ამოცანები

კომპანია გეგმავს არსებული საწარმოო რესურსის და მოცულობის სრულად გამოყენებით გაზარდოს გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა, ასევე განიხილება და ახორციელებს მოკვლევას ახალი ინვესტიციის განსახორციელებლად აჭარის ტერიტორიაზე ტექსტილის საწარმოს გახსნის მიზნით;

წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები

მწარმოებლის ბაზარზე ცნობადობა და მზარდი შეკვეთები. ასევე დროის ეფექტური გადანაწილება და პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა, შემუშავებული აქვს შიდა ბიუჯეტი ხარჯების კონტროლის მიზნით

4.ადგილობრივი ადმინისტრაციული მართვა

კომპანიის დამფუძნებელი

კომპანიის დამფუძნებელი და 100 % წილის მფლობელია თურქეთის რესპუბლიკაში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება ATK TEKSTIL-ი, რომელსაც თავისთავად მართავს ტექსტილის სფეროში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პროფესიონალთა გუნდი თვით ATK TEKSTIL-ის სადამფუძნებლო შემადგენლობა გამოიყურება შემდეგნაირად:

ალი მურათ თურქმენი- თურქეთის მოქალაქე; ქუბილაი თურქმენ- თურქეთის მოქალაქე;

ემელ თურქმენი-თურქეთის მოქალაქე; აიშე თურქმენი-თურქეთის მოქალაქე;

ზაფერ ვერალი-თურქეთის მოქალაქე;


შპს „BTM TEXTILE“-ს დირექტორები: ზაფერ ვერალი-დირექტორი

ალი მურათ თურქმენი-დირექტორი; ქენან აღირბაში-დირექტორი

აიდინ ჩალიშირ-წარმოების დირექტორი

ორგანიზაციული სტრუქტურა და საკადრო გეგმა

ადმინისტრაციული მართვის ზოგადი ქმედებები კომპანიის ოფისის ყოველდღიური საქმიანობის წარმართვას და ადმინისტრირებას გულისხმობს. მართვის ზოგადი პროცესი კონკრეტული ქვეყნის პირობების და თავისებურებების გათვალისწინებით მართვის იმ წესების შესრულებას მოიცავს, რომლებიც საერთაშორისო მასშტაბით გამოსაყენებლად იქნა დამტკიცებული. ამ თვალსაზრისით, იგი ყოველდღიური ფუნქციებისგან შედგება, მაგ: შეხვედრების დაგეგმვა, ოფისისთვის საჭირო მასალების შესყიდვა და ოფისის საქმიანობის და მიზნების განსაზღვრა. ადგილობრივ მართვაში აქტიურად ჩართულია ორი დირექტორი: აიდინ ჩალიშირი და ქენან აღირბაში; ადმინისტრაციულ მართვას შპს „BTM TEXTILE“-ის მომუშავე პროფესიული გუნდი ახორციელებს, რომელიც დაკომპლექტებულია საქართველოს მოქალაქეებით; წარმოდგენილია საორგანიზაციო სქემა:



5.მარკეტინგი და გაყიდვები

გაყიდვების მართვა

შპს „BTM TEXTILE“ დაკვეთებს იღებს დედა კომპანიისგან , ყველა შეკვეთის ფასზე მოლაპარაკება ხდება ცალკ-ცალკე. კომპანიის საქმიანობა საერთაშორისო ღია საბაზრო პრინციპებით ხდება და ყოველთვის წინასწარაა ცნობილი ნაწარმის თვითღირებულება და გასაყიდი ფასი, აქედან გამომდინარე BTM-ც მსოფლიო ბაზრის მონაწილეა და შესაბამისად ისიც ყველა გაანგარიშებას თუ ფასდადებას ახორციელებს სტანდარტების შესაბამისად.

შეკვეთის მიღებასთან ერთად ხორციელდება წარმოების დაგეგმვა ცენტრალური დაგეგმარების სახით, ხდება მოდელისთვის საჭირო მასალის რაოდენობის და სამუშაო ძალის რაოდენობის განსაზღვრა. წარმოება თავის თავში მოიცავს რამოდენიმე ეტაპს, ესენია: თარგის დამუშავება, გამოჭრა, შეკერვა, კონტროლი, უთო და ფინიში; ყველა ამ ეტაპის გავლის შემდგომ ხდება პროდუქციის საბოლოო გადატვირთვა და მიწოდება დამკვეთზე;

კორპორატიული და ბრენდის რეპუტაციის დაცვა

კომპანიის სახელი მის სავაჭრო ნიშნებთან არის ინტეგრირებული. კომპანიის ბრენდს კლიენტების თვალში გარკვეული ღირებულება აქვს. ზოგადად, ბრენდი პროდუქტის ხარისხს და მახასიათებლებს წარმოადგენს. შპს „BTM TEXTILE“ კლიენტებში სარგებლობს საწარმოს რეპუტაციით, რომელიც ინარჩუნებს წარმოების შესაბამის სტანდარტებს, მათ შორის ეკოლოგიური ნორმების დაცვით. მაღალი რეპუტაციის შენარჩუნებისთვის ზრუნვა კომპანიის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს, რადგან კლიენტების ნდობა უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რომელიც განაპირობებს მისი საქმიანობის გაგრძელებას მომავალში.

6. ფასი და თვითღირებულება

ფასის და თვითღირებულების განმსაზღვრელი ფაქტორები

წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება გამოყენებულ ნედლეულთან ერთად წარმოადგენს სამუშაოს (შეკერვის) ღირებულებას; ამიტომ კომპანიის წარმატება დამოკიდებულია შრომის ეფექტიანად გამოყენებაზე, შრომის სწორად დაგეგმარებაზე და წარმოების ტექნოლოგიის სწორად განსაზღვრაზე. შრომის სწორი დაგეგმარება პირდაპირ კავშირშია წარმატებასთან, ამიტომ კომპანია მუდმივად ახორციელებს სწავლებებს და ტრენინგებს წარმადობის და შრომის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

7. ძირითადი და საბრუნავი საშუალებები

ძირითადი საშუალებები

საწარმოო ხაზი შედგება ყველა აუცილებელი დანადგარისაგან, რომელიც საჭიროა წარმოების სრული ციკლის შესასრულებლად, დაწყებული საგამომჭრელო დანადგარებით საბოლოო კონტროლისთვის საჭირო დანადგარებამდე; გარკვეული გონივრული დროის განმავლობაში ხდება საწარმოო დანადგარების ჩანაცვლება/განახლება წარმოების პროცესის

თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. მიმდინარე პერიოდში საწარმოს გააჩნია ყველა საჭირო დანადგარი და ახლო პერიოდში განახლებას არ გეგმავს.

წარმოებისთვის საჭირო ყველა მანქანა დანადგარი :

ნედლეულის აღწერა

კომპანია პროდუქციის საწარმოებლად იყენებს შემდეგი სახის ნედლეულს:

მთავარი პროდუქცია წარმოებისთვის წარმოადგენს ბამბის, სინთეზური და ხელოვნური ქსოვილს; ხოლო დამხმარე მასალა და აქსესუარებია: საკერავი ძაფი; ღილი; ელვა შესაკრავი; კანტი ტისმა; ეტიკეტი;

მარაგების მართვა

კომპანია შეკვეთის შესაბამისად ყიდულობს საჭირო ნედლეულს, შესაბამისად კომპანიას არ უწევს მარაგების შეძენა დასაწყობება; (მხოლოდ გარკვეული აქსესუარების წინასწარ შეძენა ხდება)

8. ბიზნესის პერსპექტივის ანალიზი

რისკების ანალიზი

მსოფლიო მოდის სამყაროს წესების გათვალისწინებით წინასწარ სამი თვის შეკვეთების მიღებაა შესაძლებელი, ამიტომ კომპანია ახდენს სამუშაოს დროულ დაგეგმვას.

BTM-ის ძირითადი საქმიანობის სფერო ტექსტილის წარმოება და წარმოებული პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე ექსპორტზე გატანაა, ამიტომ მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური ცვლილებები გარკვეულწილად აისახება კომპანიის საქმიანობის შედეგებზე;